წელიწადი 1-ლი | ტელეფონი № 76. | შაბათი 3 ივნისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლიურად . . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
ჯლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.
რედაქცია და კანტორა იმყოფება ქუთაისში ქ. მიქელაძის ქ.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე სტრიქონი . . [illegible]
ღირს . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების [illegible] [illegible] 2 სათ. 5 მ.
[illegible]

№ 44 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 44

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა

ივნისის 4, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

**ყრილობის წეს-რიგი.**

**1. საპროგრამო საკითხები:**

ა. საქართველოს ავტონომია.
ბ. საქართველოს ტერიტორია.
გ. საქართველოს ფინანსები.
დ. საგრარო საკითხი საქართველოში.
ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

**2. სატაქტიკო საკითხები.**

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.
ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.
ც. საქართველოს საპოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

**3. საორგანიზაციო საკითხები:**

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.
ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.
კ. პარტიული პრესა.
ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებაზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

**საქ. ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.**

---

უდროვოდ დაჩაგრული მეუღლე შტაბს-როტმისტრი ანდრო სოლომონის ძე კიკნაძე და ღრმად დამწუხრებული მშობლები დავით ნიკოლოზის ძე და ფოტინე ჰიჭინაძის ასული ლორიები, ძმები: ვასილი და მიხეილი, დები: ევგენია მგალობლიშვილისა, გალინა და თამარა, სიძე ალექსანდრე ვენედიქტეს ძე მგალობლიშვილი, მამამთილი სოლომონ ზურაბის ძე კიკნაძე, შვილებით მამიდა პელაგია ზურაბის ასული ჯაიანისა, დეიდა ესმა ჰიჭინაძის ასული და დიმიტრი ივანეს ძე მგალობლიშვილები შვილებით აუწყებენ ნათესავთა ნაცნობთ და მეგობართ უდროვოდ გარდაცვალებას დაუვიწყარ

**ლიუბა კიკნაძისას.**

დაკრძალვა მოხდება 4 ივნისს ნაშუადღევის 4-ის ნახევარ საათზე ლევაშოვის ქუჩ, საკუთარი დივით ლორიას სახლიდან. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. ცალკე წერილები არ დარიგდება.

---

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

31 მაისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება კოლოსალური პროგრამა

**—კარიერა—**

**გაქცეული კატორღელისა**

დრამა 5 ნაწ. იდა ტალისა და ალბერტ კოლოს მონაწ.

**ანონსი:** 2 ივნისიდან ნაჩვენები იქნება ახალი მეტად საგულისხმიერო სურათი

**ცოდვების წიაღში**

მხატვრული დრამა 6 ნაწ. მონაწ. უმთავრეს როლში **ესფერი სოკოლოვსკი** და მსახიობი ალბერტ კოლოსი

**ყურადღება!** ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრის განყოფილება!

---

კვირას 4 ივნისს 1917 წ.,

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სენაკის განყოფილების სასარგებლოდ ადგილობრივ ქალაქის ბაღში გაიმართება

**დიდი სახალხო სეირნობა**

ლატარია-ალეგრით და სხვა გასართობებით. სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა. დასაწყისი დღისით 4 საათზე, შესასვლელი ფასი დიდებისათვის 50 კაპ. მოწაფეთა პატარებისათვის 30 კაპ.

---

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

დრამა 6 ნაწ. ნ. ა. ლისენკოსი, ნ. ვ. პანოვის და ნ. ა. რიმსკის მონაწ.

**ჩირქმოცხებული**

**ანონსი:** 2 ივნისიდან ნაჩვენები იქნება მეტად საგულისხმიერო პროგრამა

**დამსხვრეული გორკილები**

დრამა 5 ნაწ.

მონაწ. ბაუერი, რანდინისა და პოლონსკი კომედია. **ბობი შოფერი.**

**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

---

## დ ღ ე ს:

**წერილები:**

ინ-ხანი.—ეროვნული იდეა იმარჯვებს.
ვ. წერეთელი.—კერენსკი და ჩვენი ფედერალისტები.
სერ.—10 მილიარდიანი იძულებითი სესხი.
პროფ. პოსნიკოვის.—აზრი მიწის კითხვის შესახებ.
საქარ.—ხმა ხალხისა.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები; რუსეთი და უცხოეთი. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. ეროვნულ დემოკრატიული პარტია. უკანასკნელი ამბები. ქართველ ისრაელთა შორის. სოციალ-რევოლუციონერების კონფერანცია. ხარაგოულის აღმასრულებელი კომიტეტის საპასუხო წერილი. რუსეთი და უცხოეთი (გაზეთებიდან). ახალი ამბავი.

---

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული. უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

---

## ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ ქუთაისის კოოპერატივებში: „მომავალი“ „სარკინისგზო კოოპერატივი“ „უაირათი“, „კოოპერაცია“ და „ედინენიე“ იყიდება სიმიდის ფქვილი ფუთი 3 მანეთათ.

---

2 ივანობისთივდან და-

**იწყო მგზავრთა მიმოსვლა**

მიმოსვლა საფოსტო ცხენებით **ქ. ქუთაისსა** და დაბა **ონის შუა** ონამდის მისვლა ღირს 15 მანეთი და 5 შაური სამგზავრო ბილეთები იყიდება საფოსტო სადგურში ბალახვანის ქუჩაზე, და ახტონ ხევცური ანთან ჯაჭვის ხიდთან. „ლინეიკები“ ქუთაისიდან გადის დილის 6 საათზე

1-2 **გამგე ვეზიროვი**

---

სატახტო-ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვების.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



შაბათს 3 ივანობისთვეს 1917 წ. გაიმართება გრანდიოზული სასპორტო ატლეტიური წარმოდგენა, რომელიც შესდგება საუკეთესო ცირკის რეპერტუარისაგან. უკანასკნელი გასტროლები; და ჩქარეთ ნახოთ, განთქმული ბელგიელთა დასი

**5 კლიკეტი**

ახალგაზრდა ქალის ქონგრელის ქენიასი უძლიერესი კაცი კრისტი და სხვა. წარმოდგენაში მონაწ. მთელი ცირკის დასი. 14 დღეა საერთაშორის ქალთა ფრანგული ჭიდაობა. დღეს იჭიდავებს 3 წყვილი 1 წყვილი წითელი პირბადოსანი და ქალი ბელანა. 2 წყვილი აზელკრიტი და ქალი მანკო. 3 წყვილი ქალი რობინსტონი და ქალი სიბირიაჩკა. წარმოდგენის დასაწყისი საღამოის, 8 ნახევარ საათზე ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.

ანონსი. ამ დღეებში გაიმართება გრანდიოზული ბენეფისი გამოჩენილ ბელგიეთა დასისა

**5 კლიკეტი**

კვირას 4 ივნისს დღისით გაიმართება უკანასკნელი წარმოდგენა. დასაწყისი 1 საათზე დღისით.

---

## ეროვნული იდეა იმარჯვებს

რუსეთის დიდმა რევოლუციამ ერთი ჩინებული, უმნიშვნელოვანესი და სამარადისო საშვილიშვილო საქმე უკვე გააკეთა. რაც არ უნდა მოხდეს აწი, როგორი მსვლელობაც არ უნდა მიიღოს მან, იმის გარდა, რომ სამუდამოდ ჩაუქსოვა ხალხს სიყვარული თავისუფლებისადმი, ძმობისა და ერთობისადმი, მან გააღვიძა, გააჩახა და გააღრმავა არა პყრობელ ერებში ეროვნული თავისუფლებისადმი მისწრაფება. ამის მეტიც რომ არა გაეკეთებინა რა ამ რევოლუციას, მისი ხსოვნა მაინც ამოუშლელი დარჩებოდა ხალხის გულში და მისი მნიშვნელობა მაინც უდიდესი იქნებოდა.

ეროვნული იდეის გამარჯვება არის იმავე დროს კულტურის გამარჯვებაც. აშკარაა, რომ რაც ერი უფრო თავისუფალია, მით უფრო წინ იწევს საკაცობრიო კულტურაც, მით უფრო მეტ შემოქმედებით უნარს იჩენს ერი. განა საქართველო მისცემდა კაცობრიობას შოთას, იმ დროს რომ თავისუფალი არ ყოფილიყო? რამდენია ამისთანა მაგალითები მსოფლიო ისტორიაში. განა იმავე საქართველოს არ დააჩნდა რუსეთის თვით მპყრობელობის დროს გაბატონებული ეროვნული ჩაგვრა? სად არის ქართული მეცნიერება, რომელიც თავისუფლების ჟამს გვერდით უნდა ამოდგომოდა მსოფლიო მეცნიერებას? ასე მოუვიდა ყველას და ყველგან. მონობაში კულტურა ვერ აყვავდება.

ეს შეიგნო უკვე დაჩაგრულმა ერებმა და აბა გადავხედოთ ეხლანდელ მსოფლიო ვითარებას და დავინახავთ, როგორის მძლავრისა და შეუჩერებელის ტემპით მიჰქრის იმის შეგნება, რომ პატარა ერთათვის შეუძლებელია, აუტანელია მეტი ჩაგვრა, მეტი ტანჯვა, მეტი ვაება, მეტი მონობის უღელ ქვეშ ქშინვა. დიდი დამპყრობელი ერები არ გეგონოსთ ამის შემგნე. არა! ამას თვით ჩაგრულთა შორის ვხედავთ, რომლებმაც „მოთმინებითა მათითა მოიპოვეს სული მათი.“

დღე დღეზე იმატებს დეპეშები და ცნობები იმის შესახებ, რომ ამა და ამ ჩაგრულმა ერმა განთავისუფლება მოსთხოვა „ბატონს“-ო, ამა და ამ ერმა, როგორც ერთმა კაცმა აღსდგა და ულტიმატუმისებური მოთხოვნილება წარუდგინა არა თუ თვის „ბატონს“, არამედ სრულიად გარეშე მდგომ სახელმწიფოებსაცო. ვინ არიან ეს პატარა ერები? მათი შეერთებული რიცხვი და ძალა თუ აღემატება მპყრობელ ერთა ძალასა და რიცხვს თვარა, ყოველ შემთხვევაში არ ჩამოუვარდება. ვინ იფიქრებდა, რომ ქურთები შეეკითხებოდნენ ოსმალეთის მთავრობას, თუ როგორი შეხედულება სუფევს ქურთისტანის ავტონომიის შესახებ მმართველ წრეებში? სომხეთი არაბეთი და უმიწაწყლო ებრაელები ხომ კარგი ხანია, სისხლს დაუზოგველად ჰღვრიან ეროვნული თავისუფლების მოპოებისათვის და უკიდურეს ზომებსაც კი მიმართავენ ამის ხელში ამოსაგდებლად. გადავხედოთ კიდევ სხვა სახელმწიფოებს: ინგლისი, გერმანეთი, რუსეთი, საფრანგეთი ავსტრო-ჰუნგრეთი და სხვა.

დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოში გაცილებით მეტია არა ინგლისელი, რომლებმაც ერთხმად მოსთხოვეს დიდ ბრიტანეთს მონობის უღლის გაწყვეტა. ირლანდიელები, ინდოელები, შოტლანდიელები და უამრავი კოლონიები ისეთი ძალაა, რომ მათი გვერდის ახვევა დიდს საფრთხეს განუმზადებს ძლევამოსილ ბრიტანეთის მპყრობელ ერს. ინგლისმა ამჯობინა თვითვე წავიდეს კომპრომისებზე და ზევიდან მისცეს თავისუფლება, სანამ არ დაგვიანებულა და მქუხარე ვულკანის სიღრმიდან არ ამოხეთქილა შეუპოვარი სტიქიონი. მას კარგად ახსოვს ალბათ დუბლინის ამბები.

გერმანეთმაც უნდა იცოდეს, რომ მას გარს არტყია პოლონელები, ელზ სელები, დანიელები და სხვა. ისიც იძულებული შეიქნა შეენელებია იმპერიალისტური სულის კვეთება. ავსტრია ხომ თითქმის ჩაგრულ ერებისაგან შესდგება: ჩეხელები, სლოვაკები, ხორვატელები, რუსინები, ნაწილი უკრაინელებისა და სხვა. განა ამითი ეროვნული თვით შეგნება ულრესად არ გაიზარდა? განა მათი სულის კვეთება არ ანგარიშ გასაწევია? ავსტრიის მეფემ კარლოსმა ზედმიწევნით გაიგო ეს და მისი სეფე სიტყვა, სადაც ის ყველას თავთავისას დაჰპირდა, ხომ მხოლოდ ამ გარემოებამ გამოიწვია საფრანგეთის კოლონიებმაც კი, ტუნისმა, ალჟირმა, მაროკომ და სხვა, დაუფარავად ამოიღეს გულის კუნჭულებიდან თვისი ეროვნული იდეის სახე და გარდაუშალეს საფრანგეთის რესპუბლიკას დასანახავად. ესეც იძულებული იქნება თვალების ჭმუნვას ბოლო მოუღოს და ფართოდ გაახილოს იგინი.

რუსეთი ხომ ჭრელზე-ჭრელია. ის ფლობს საქართველოს, სომხეთის ნაწილს, ფინეთს, 35 მილიონიან უკრაინას, პოლონეთს, ლიტვას, ესტონეთს, ბელორუსიას, ციმბირს, ხივასა და ბუქარას, ლატიშელებს, აურაცხელ მუსულმანებს, ბესარაბიას, გაბნეულ ებრაელობას და ვინ მოსთვლის კიდევ ვის? გაითვალისწინეთ დღევანდელი მომენტი შეჰხედეთ კარგად რა რიგ აღსდგა ყველა ესენი მკვდრეთით და მთელი თვისი მნიშვნელობით გადაგეშლებათ თვალწინ, როგორი ძლიერი შეიქნა ეროვნული იდეა,

როგორ სწრაფად და მედგრად იმარჯვებს იგი.

წარმოიდგინეთ ეხლა შემდეგი: შეკავშირდნენ ყველა ეს ჩაგრული ერები, შეუპოვრად მოითხოვეს ყველამ თავ-თავისი მისცეს სიტყვა მტკიცე, რომ არ დაზოგონ საშვალებანი ერთი მეორის ინტერესების დაცვისათვის და დამერწმუნებით, რომ ეროვნული კითხვის გვერდის ახვევას ველარავინ შესძლებს. ასეთი ნაბიჯი უკვე გადიდვა კიდეც. საქართველომ და უკრაინამ ფიცით შეუღლდნენ. მათ შეუერთდა სომხები, ლიტოველები, ებრაელები და შეუერთდებიან სხვებიც.

აი ძალა სად არის, და აი რა უზრუნველ ჰყოფს ეროვნული საქმის საბოლოო გამარჯვებას. ამ ტიტანიურ ძალას ველარასფერი აღუდგება ამიერიდან წინ და ჩვენც წინდაწინვე შეგვიძლია ვიდღესასწაულოთ ეროვნული იდეის გამარჯვებით დამკვიდრება.

მომავალი იმედიანია. სასოწარკვეთილებას ველარ მივეცემით. მხოლოდ საქმე ის არის, რომ ერის სურვილების გამომხატველი პირები უნდა შეინძრენ და საქმის გაკეთებას შეუდგნენ, **ისინი უნდა შეთანხმდნენ.**

ჩვენც, ქართველებმაც ყველაზე მეტად უნდა ვიზრუნოთ ამის შესახებ. ამდონ ხანს გაპარტახებული ქართული ეროვნული სული გასაქანს პოულობს და მიზანს აღწევს. აკ. ჩხენკელის მოხსენება, „ალიონი"სა და „ხალხის თავისუფლების" გამოსვლა, საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, თუ რა რიგ შეუჩერებლად მიდის წინ ჩვენი ეროვნული საქმე.

ამ საქმის მოგვარება უკვე კარგი ხნის მომწიფებული, დღეს რეალურ სინამდვილედ იქცევა.

საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის აუცილებლობა მთელი ერისგან არის მოთხოვნილი, მსოფლიო დემოკრატია მას ვერ უარჰყოფს.

ვინც არ უნდა იყვეს, რა გინდ მუქარებითა და ზარბაზნებით, რაგინდ სახელის გატეხვით არ შეებრძოლონ ამ ქართველი ერის სიკვდილ სიცოცხლის საქმეს, მისი დასამარება შეუძლებელია. ამიერიდგან სრულიად ქართველ ერთან, მჭიდროდ შეკავშირებულთან ექნებათ საქმე.

**ინ ხანი.**

## პროფ. ა. ს. პოსნიკოვის აზრი
**მიწის კითხვის შესახებ.**

მთავარ სამიწო კომიტეტში პრ. პოსნიკოვმა სხვათა შორის შემდეგი სთქვა: „საჭიროა იმ გაუგებრობის თავიდგან აშორება, რომელიც ტრიალობს მიწის კითხვის გარშემო თითქოს მთელი მიწები უნდა ჩამოერთვას კერძო მესაკუთრეებს უსასყიდლოდ. კომიტეტმა უნდა განაცხადოს, რომ ეს არ მოხდება. უსასყიდლოდ მიწების ჩამორთმევა არსებითად უსამართლო იქნებოდა, ხოლო ეკონომიურის მხრივ მიგვიყვანდა დაღუპვის კარამდი. საჭიროა ანგარიშს უწევდეთ იმას, რომ ყველა მესაკუთრეს უფასოდ არშეუძენია მიწები, და არც არავისათვის წაურთმევია. მესაკუთრეების დიდმა ნაწილმა მიწები შეიძინეს ფასით, და მოანდომეს მათ დიდი შრომა და კაპიტალი. ამას გარდა ყურადღება უნდა მიექცეს იმ მოვლენას, რომ მიწის უმრავლესობა დაგირავებულია. უფასოდ მიწის ჩამორთმევა გააკოტრებდა საადგილმამულო ბანკებს ამით ფრიად დაზარალდებოდენ სრულიად უდანაშაულო პატრონები საგირავო ფურცლებისა. მარტო ლაპარაკიც კი მიწების უფასოდ ჩამორთმევის შესახებ ცუდსა და მავნებელს შეხედულებას შობს ჩვენს კრედიტზე. ორატორი გადადის შემდეგ კომიტეტის ამ კითხვის შესახებ საქმის მოგვარების დახასიათებაზე და ამბობს, რომ პირველ ყოვლისა საჭიროა გამოინახოს ისეთი ზომები, რომლითაც მოვსპობთ იმ სამწუხარო ექცესებს მიწის გარშემო, რომელსაც ადგილი აქვს დღეს.

კომიტეტმა უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომელშიაც შეიძლებოდეს წყნარი მუშაობა მიწის კითხვის გარშემო და ამით ბოლო მოეღოს იმ ექცესებს, რომელიც გვიქარწყლებენ იმედს, რომ ჩვენი სამშობლო გამოვა განახლებული და გამაგრებული თანამედროვე რღვევისაგან (разруха)"

პროფ. პოსნიკოვის აზრი, სხვათა შორის, იმიტომ მოვიყვანეთ, რომ იგი დიდ ხანს სოციალისტის სახელს ატარებდა. ა. ს. პოსნიკოვი ის ცნობილი ეკონომისტია, რომელიც თავის ორ დისერტაციაში —მაგისტრის და დოქტორის —ამტკიცებდა რომ სათემო მიწისმფლობელობას (общинное землевладѣніе) ეკონომიური საფუძველი აქვსო. ახლა, როგორც მისი სიტყვებიდან სჩანს, იგი ამტკიცებს, რომ მიწის კითხვა მხოლოდ დამფუძნებელ კრებამ უნდა გადაწყვიტოსო და უსასყიდლოდ მიწის ჩამორთმევა შეუძლებელიაო. ჩვენი „მეცნიერნი" ფედერალისტებიც რომ ასეთს აზრს გაიზიარებდენ, ვგონებთ გაცილებით მაღლა აიწევა მათი პრესტიჟი.

## კერენსკი და ჩვენი ფედერალისტები.

როდესაც ახლანდელ სათათბიროს დეპუტატებს ირჩევდენ, ფედერალისტებს დიდი საარჩევნო ბრძოლა ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებთან. და, რადგან მათ ეროვნული დროშა ამართეს, ქართველი ხალხის მთელი ის ნაწილი, რომელსაც ეროვნება უფრო სწამს, ვიდრე სოციალიზმი. მათ გარშემო შეიკრიბა.

მეც ფედერალისტების ბანაკში გახლდით, აუარებელი წერილი ვუძღვენი ხსენებულ საარჩევნო კამპანიასა და თვითეულს ჩემს წერილს ამ სიტყვებით ვათავებდი: ჩვენი დეპუტატი არც ერთს რუსულ საპარლამენტო ჯგუფში არ უნდა იჯდეს' არამედ დამოუკიდებელი ადგილი უნდა ეჭიროსთქო.

კიტა აბაშიძის არჩევა რომ აღარ მოხერხდა, განსვენებულ ვარლამ გელოვანზე შევჩერდით. მახსოვს, იასონ ბაქრაძის ბინაზე ამრჩეველებს შევფიცე, ვარლამ გელოვანი ქართველი ერის ინტერესების დამცველი იქნებათქო.

აირჩიეს გელოვანი. ფედერალისტების დადგენილებით ის—შრომის ჯგუფში დაჯდა. შეადგინეს პირველი გამოსვლისთვის წასაკითხავი დეკლარაცია.

დეკლარაცია მკრთალი გამოდგა.

შემდეგ კი განსვენებული ვარლამ გელოვანიც თითქმის მთლად გასოციალისტდა და საქართველოს ავტონომიას ათასში ერთხელ და ისიც გადაკვრით თუ ახსენებდა.

ვგონებ 1908 წ. ,,შრომის ჯგუფის'' თავმჯდომარე კერენსკი, ქუთაისში გვეწვია. ვინახულეთ, ვესაუბრეთ. მართალი მოგახსენოთ, ჩვენ მისი ვერა გავიგეთ-რა და მან ჩვენი. ვარლამ გელოვანს უჩივლია, ერთობ ხშირად ლაპარაკობს ეროვნული საკითხის შესახებო, და გვთხოვა ურჩიეთ, რომ მან, როგორც სოციალისტმა, ეროვნული საკითხიც კი მხოლოდ სოციალური თვალთახედვით გააშუქოს ხოლმეო. მისმა საჩივარმა მხოლოდ მცირე უკუთქმა გამოიწვია: გულჩათხრობილი ხალხი ვართ. გიორგი ზდანოვიჩის ბინაზე მასთან საქართველოს ავტონომიის შესახებ ჩამოვუგდე ლაპარაკი. ხმა არ გამცა, სახეზე კი შევატყვე, რომ ჩემი ლაპარაკი ან ვერ გაიგო ან მეტად ეწყინა.

ცოტა ხნის შემდეგ განსვენებული ვარლამ გელოვანი ვნახე და შევეკითხე, კერენსკი ხელს ხომ არ გიშლისთქო. მან მიპასუხა: ხელს მიშლისო (мы грыземся).

ამისდა მიუხედავად კერენსკი მეგობარი იყო გიორგი ზდანოვიჩის; კიტა აბაშიძისა და მათი ამხანაგებისა და, თუ არა ვცდები, ფედერალისტებს დღეს თავისი ბიუროებში მისი სურათებიც კი უკიდიათ.

მაგრამ უთუოდ ფედერალისტებიც გაიგებდენ, როგორ დაემუქრა კერენსკი—სამხედრო მინისტრი—პატარა ფინლიანდიას, როგორ დაუბღვირა უკრაინასა და რა განაცხადა ,,ზოგიერთის კავკასიელი ერის (ე. ი. ქართველების) შესახებ. (იხ. რუსკოე სლოვო, 1 მაის).

მან საცინლად აიგდო საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წელს დადებული ხელშეკრულობა, რომელიც ჩვენს ისტორიულსა და ბუნებრივს ეროვნულ უფლებას წარმოადგენს, და ცილი დაგვწამა, ვითომ მეზობლებსა ველეტავდეთ!

რესპუბლიკაში მინისტრმა პასუხი უნდა აგოს თვითეულის თავისი სიტყვისათვის და კერენსკი მოვალეა თავი იმართლოს ქართველი ერის წინაშე და სთქვას საჯაროდ რით დავიმსახურეთ მისი წყრომა და რა უფლებით შეურაცხგვყოფს?

რაც შეეხება ჩვენს ფედერალისტებს, ისინი მოვალე არიან მოგვცენ პასუხი: დააჯენენ თუ არა კვლავ თავის დეპუტატებს ,,შრომის ჯგუფში''?

ვასილ წერეთელი.

## 10 მილიარდიანი ,,იძულებითი სესხი".

სახელმწიფოს ფინანსიური მხარე მეტად უმწეო და უნუგეშოა. გარდამავალი მომენტი განუსაზღვრელ ხარჯებს თხოვს. უფულოდ რევოლუციას დასამარება ელის ამ ხანად სახელმწიფოს სიმდიდრე (ოქრო) 3 მილიარდს არ აღემატება. გარეშე და შინაური ვალი კი 42 მილიარდამდე აღწევს. ხაზინა გამოჩანაგებულია, სახელმწიფო ქაღალდის ფულით საზრდოობს, რომელიც დღიურად 30 მილიონი იბეჭდება.

ახალმა დრ. მმართველობამ ფინანსურ კრიზისს რევოლუციის პირველ დღეებშივე მიაქცია სათანადო ყურადღება და ქვეყნის ნივთიერად უზრუნველ ყოფისათვის „თავისუფლების სესხზე" ხელის მოწერა გამართა.

ყველა დარწმუნებული იყო, რომ თავისუფლების სესხი" დანიშნულ მიზანს მიაღწევდა და რევოლუციას ფინანსურ განსაცდელისაგან დაიხსნიდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. შეძლებულმა წრეებმა და ბურჟუაზიამ მათზე დამყარებული მოლოდინი არ გაამართლეს. ბურჟუაზია და სხვა ზომიერი ელემენტები ჩამოსცილდნენ სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზს. პროგრესიულმა ბურჟუაზიამ რევოლუციურ ძალებიდან გათიშვა იწყო, რაც შედეგია იმ უთანხმოებისა, რომელიც ჩამოვარდა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის შორის. ცხადია უბურჟუაზიოთ არც ერთი სესხის განაღდება არ შეიძლება. პროლეტარიატს და მშრომელ მასას რა აქვს, სახელმწიფოს რომ ასესხოს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ბოლო ხანს შეუდარებლად დაეცა უცხოეთში რუსეთის მანეთის კურსი. მაგ. 16 მაისს „რუსკ. ვოლის"ს ცნობით ლონდონში 10 გირვანქა სტერლინგში აძლევდენ 175 მან. და 75 კაპ, 17 მაისს 181 მან. 18 მაისს 183 მან. და 50 კაპ. (ნორმალიფას. კი 10 გირვანქა სტერლინგისა იყო 94 მან და 30 კაპ.)

პარიზში 17 მაისს 100 მან. 153 ფრანკს, 18 მაისს 149 ფრანკს და 50 სანტ. (პარიტეტი 100 მან. შეადგენს 266 ფრანკს და 66 სანტ.)

ასეთი მდგომარეობის. გამო დრ. მთავრობისათვის ახალი საშუალება-ზომის გამონახვა შეიქმნა საჭირო. ფინანსთა სამინისტროში კითხვა აღიძრა, რათა გამოიცეს 10 მილიარდიანი იძულებითი სესხი. ეს მეტად საყურადღებო ნაბიჯია. იძულებითი სესხს სახელმწიფოები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ. ფინანსთა სამინისტროსათვის იძულებითი სესხი უკანასკნელი ზომაა. დემოკრატია დიდ იმედებს ამყარებს „იძულებითი სესხზე". ეს ასეც უნდა იყოს. თუ მანაც ნაყოფი არ გამოიღო, ეს სახელმწიფოს ნივთიერად სრულ დაქვეითებას მოასწავებს, რაც რევოლუციის დამსამარებელიც იქნება ამიტომ, თუ ხალხს თავისუფლებით სუნთქვა ჰსურს და სიცოცხლეც არ მოსწყენია, მან ყოველივე ზომას უნდა მიმართოს, რომ ეს რევოლუცია მაინც იქნეს გვირგვინოსანად წოდებული. და კეთილად დაბოლოებული.

ser.

## ხმა ხალხისა

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობის გუშინწინდელ კრებაზედ ეროვნულ საკითხის შესახებ მიღებულ იქმნა ა. ჩხენკელის რეზოლუცია. რეზოლუცია თავის შინაარსით დასკვნაა იმ მოხსენებისა რომელიც ა. ჩხენკელმა წაიკითხა იმავ ყრილობის ეროვნულ სექციაში. თანახმად ამ მოხსენებისა და თანახმად რეზოლუციისა ყრილობამ ხმის დიდის უმრავლესობით ტერიტორიალი თვითმართველობა—ავტონომია მიიღო, რაც უნდა დაედოს საფუძვლად ჩაგრულ ერთა მომავალ თავისუფალ ცხოვრებას თავისუფალ რუსეთში. ტერიტორიული ავტონომია იმ ერთათვის, რომლებიც განსაზღვრულ ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობენ და კულტურულ ნაციონალური ავტონომია მათთვის, ვინც შერეულად სცხოვრობენ და ცალკე ტერიტორიულ ერთეულს არ წარმოადგენენ—აი, ახალი ლოზუნგი, მიღებული ყრილობისაგან. ღირს შესანიშნავი ამ გადაწყვეტილებაში ის არის, რომ ამაში გამოიხატება თვით დემოკრატიის— ხალხის სურვილი. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ამ ყრილობაზედ ქართველ ,მუშათა და გლეხთა დელეგაცია ყველაზედ უფრო მძლავრად იყო წარმოდგენილი და ქართველ ხმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ რეზოლუციის მიღებაში, იმ აზრს უნდა დავადგეთ, რომ ოცდა-ათ მაისის კრების გადაწყვეტილება პირველი მაგალითია საქართველოსათვის, როცა ეროვნული იდეა ზევიდან კი არ მიდის მასაში, როგორც პარტიული დოქტრინა, არამედ ქვეიდან ზევით, როგორც საყოველთაო და შეგნებული სურვილი ეროვნულ საკითხის გადაწყვეტისა თვით ხალხში, თვით დემოკრატიაში, ქართველი ერის დიდ უმრავლესობაში.

მუშათა და გლეხთა წარმომადგენლებმა ამ რეზოლუციით აშკარად სთქვეს, რომ თავისუფალ რუსეთში არა თავისუფალი ერები აღარ უნდა ივვნენ. ამიერიდგან საქართველოს ავტონომიას თვით ქართველ ხალხის სახით, როგორც ეს ბევრს ეგონა, „მტერი" აღარა ჰყავს და იდეამ ქართველ ხალხის თვითმართველობის აშკარად, ნათლად და ამაყად უნდა იაროს ქართველ ხალხში ეპოხა თავდება მოშხამული ინსინუაციებით, ურთი ერთ გაუგებრობით, ალსავსე იჭვით მომავალზე და დგება ახალი ხანა, რომელშიაც ქართველი, ხალხი რევოლუციურად დარაზმული, ორგანიზაციულად დაშეკავშირებული ტაქტიკურად გამოცდილი ერთის ლოზუნგის ქვეშ დგება. რაც უნდა ინტრიგები დაჰყვეს პირველ დღეებში ამ ლოზუნგს, რამდენი კამათიც არ უნდა გამოიწვიოს პარტიებს შორის იმ დეტალებმა, რომელსაც ჰგულისხმობს ა. ჩხენკელის პროექტი საქართველოს ავტონომიის შესახებ—ცხადია ერთი, რომ საერთო ენა გამოძებნილია და გასაღები ამოცანისა თვით ქართველ ხალხის ხელშია. გონება და ტაქტი მუდამ გამოსძებნის იმ საერთო ნიადაგს, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს მომავალი თავისუფლება ქართველი ერისა.

ქართველ მუშათა და გლეხთა გარდაწყვეტილებას ჩვენ ისტორიულ მნიშვნელობას ვაძლევთ და კიდევ ვიმეორებთ, რომ გადავდივართ ახალ ხანაში, საიდანაც ჩვენი მომავალი უფრო აშკარად სჩანს."

საქარ.

# რევოლუციის ამბები
(პ. დ. ს.)

**დეპეშები**

უკრაინელების პროტესტი კერენსკის დეპეშის გამო.

**კიევი.** მაისის 30. სრულიად უკრაინის გლეხთა ყრილობამ მიიღო სამხედრო მინისტრის კერენსკის დეპეში, რომელშიაც ნათქვამია: მეორედ მოწვევა უკრაინის სამხედრო ყრილობისა არ შეეფერება თანამედროვე პირობებსო. კერენსკის ასეთი განკარგულება ყრილობამ სცნო, როგორც თავისუფლების უარყოფა. ამიტომ ყრილობამ დეპეში გაუგზავნა დროებითს მთავრობას და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, რომ ის არავითარ პასუხს არ აგებს, თუ ახალ ცხოვრების დემოკრატიული საფუძველი დაირღვა და მოითხოვს სრულს პასუხს.

სხდომა დამფუძნებელ კრებისათვის საარჩევნო პროექტის შემმუშავებელ თათბირისა.

**პეტროგრადი.** მაისის 30. დამფუძნებელ კრებისათვის საარჩევნო პროექტის შემმუშავებელ სხდომაზე განიხილეს სამეფო გვარეულობის არჩევნებში მიღების შესახებ უფლებების შეზღუდვის საქმე. ბოლშევიკი კოზლოვსკი მოითხოვდა არ მისცემოდათ უფლება სამეფო გვარეულობისათვის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. კოზლოვსკის უპასუხებდენ ვოდოვოზოვი, და მიაკოტინი თათბირმა დაადგინა არ იქნენ შეტანილნი ის პირები, რომელნიც შემოწმებულ იქნებიან ჭკუა ნაკრულებად, გიჟებად და აგრეთვე ყრუ და მუნჯად; ისინი რომელნიც იმყოფებიან სხვის მზრუნველობის ქვეშ ერთმევათ საარჩევნო უფლებები. შემდეგ თათბირმა მიიღო ზოგიერთ პირთაგან შეტანილი შესწორებანი საარჩევნო უფლებების შესახებ დასამზადებელი პროექტი, რომ არჩევნების უფლება ეძლევა ყველა მოქალაქეს, რომელნიც აკმაყოფილებენ საარჩევნო უფლების მოთხოვნილებათ. ამასთანავე, თუ შემთხვევით რომელიმე მოქალაქე არ იქნა შეტანილი საარჩევნო სიებში, მათ შეეძლება სამი დღით წინ დანიშნულ სარჩევნო ვადამდის ჩაეწერონ სიებში.

უდისციპლინობა მოქმედ ჯარში.

**პეტროგრადი.** მაისის 31. ოფიციალი. ფრონტიდან მოდის ცნობები ჯარში უდისციპლინობის გამო.

სამხედრო ბოროტ-მოქმედებას სჩადიან, როგორც თვითოული პიროვნებანი, ისე ჯგუფობითა და ნაწილებით ახდენენ ამბოხებას. თავისი ნებით სტოვებენ პოზიციებს, არ ასრულებენ არავითარ ბრძანებას და სხ. ასეთი ბოროტ მომქმედნი ისჯებიან კატორღაში გაგზავნით. ყველა ასეთი ბოროტ მოქმედება ჩირქსა სცხებს მეომრის წმინდა მოვალეობას. ამ საქმეში დამნაშავენი სასტიკად ისჯებიან: ყოველგვარი უფლებების ახდით. ჰკარგავენ საარჩევნო უფლებებს, საკუთრების უფლებას ამიტომ დროებითი მთავრობა უბრძანებს ყველა დამნაშავენი გადსცენ სამართალს და ეს განცხადება წაიკითხონ ჯარის ყველა ნაწილებში.

## რუსეთი.
პ. დ. ს.

**დეპეშები.**

საფინანსო მინისტრის პროექტი.

**პეტროგრადი.** 30 მაისი. საფინანსო მინისტრმა შეიტანა პროექტი სასურსათო კომიტეტში შაქრის მონოპოლიის შემოღების შესახებ, რომლის თანახმადაც მთელი შაქარი გადადის სახელმწიფოს განკარგულებაში მტკიცე ფასებით. მხოლოდ სახელმწიფოს ექნება უფლება შაქრის შემოტან-გატანის საქმეში. ომის დასრულებამდე მონოპოლიის გამგებლობა იქნება სასურსათო სამინისტროს ხელში, ხოლო ომის შემდეგ გადაეცემა საფინანსო სამინისტროს.

მატარებლების დაჯახება.

**მოსკოვი.** 30 მაისი. სასწრაფო. ნიჟნი ნოვ-გოროდის გზაზე მოხდა სამხედრო მატარებლების ერთმანეთზე დაჯახება. დაიმტვრა 17 ვაგონი. უფროსი კონდუქტორი დაშავდა. არიან დახოცილნიც და დაჭრილებიც.

ქვა-ნახშირის მრეწველთა თათბირი.

**ნოვოჩერკასკი.** 30 მაისი. გაიხსნა ქვანახშირის მრეწველთა თათბირი, რომ გამოარკვიონ მიზეზი ქვა-ნახშირის რაოდენობის შემცირებისა. ქვა-ნახშირის მუშები დამოუკიდებლად ამუშავებენ ზომებს თავიანთი ინტერესების დასაცავად.

პროვოკატორების სიის აღმოჩენა.

**ოდესა.** 30 მაისი. დეპუტატების საბჭომ აღმოაჩინა სია, იმ პირთა, რომლებიც ეწევოდენ პროვოკატორულს აგიტაციას. სიის შემადგენლობაში შედიან 28 კაცი: 16 ებრაელი, 8 კავკასიელი და 4 რუსი.

გზის დაცვა.

**ტამბოვი.** 13 მაისი. საგუბერნიო ყრილობაზე გზის დაცვის გამო მთელი გუბერნია დაიყო 8 რაიონებად. ინიშნებიან შეიარაღებული ძალები, მატარებლებში კონტროლის მოსახდენად.

ძარცვა გლეჯვა.

**ხარკოვი.** 30 მაისი. სოფელ პერესეჩნოში ქალაქ ხარკოვიდან 30 ვერსის დაშორებით ღამით 6 შეიარაღებული მძარცველი ნიღბებში თავს დაესხა სოლქო კომიტეტს. შეუკრეს ხელები მამასახლისს, გამოიყვანეს ცხენები და წამოიღეს ორი ზანდუკი. ერთ მათგანში იყო 5000 მანათის სხვადასხვა საპროცენტო ქაღალდები.

## უცხოეთი
პ. დ. ს.

**დეპეშები.**

პანკჰერსტის ქალი.

**ლონდონი.** მაისის 29. ლორდ-სესილმა პალატაში განუცხადა პანკჰერსტის ქალს, რომ მას სახელმწიფოსაგან არავითარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისია არ აქვს დაველებული და არც ვინ თუ რომელი ორგანიზაციის წარმომადგენელი ხარო. პანკხერსტის ქალი გაემგზავრა რუსეთს.

ლოიდ-ჯორჯის განცხადება.

ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა რომ ირლანდიის კითხვის შესახებ მოწვეულ კონფერენციაზე უნდა შესდგეს 101 წევრისაგანო.

სახელმწიფომ საჭიროდ სცნო, რომ თვით კონფერენციამ აირჩიოს თავმჯდომარეო.

**ზ ვ ა ზ ე**

გერმანელების წყალქვეშა ნავი.

**კადიკსი.** მაისის 29. ესპანეთის ნალმოსანმა შეამჩნია კადიკსის ნავთსადგურის მახლობლად გერმანელების წყალქვეშა ნავი რომელიც დაზიანებული იყო არტილერიისაგან. წყალქვეშა ნავი მანქანების საშუალებით ნავთსადგურზე მიიტანეს.

სახელმწიფო საბჭოს სხდომა.

**სტოკჰოლმი.** მაისის 28. გერმანეთისა და ავსტრიის წარმომადგენლებმა უპასუხეს 1 მაისის შეკითხვაზე, რომ სახელმწიფო საბჭო განიხილავს მათ წინადადებას. ახლო მომავალში დაამთავრენ პოლონეთის სამეფოს კონსტიტუციურს და ადმინისტრატიულს კანონებს. საბჭო გამოსთქვამს სურვილს პოლონეთის სამეფოს დაენიშნოს რეგენტი, რაც სავსებით ეთანხმება ცენტრალი სახელმწიფოთა შეხედულებას. ამ განზრახვას სისრულეში მოიყვანენ მაშინ, როცა ამისათვის შეიქმნება შესაფერისი პირობები. ცენტრალი სახელმწიფონი უცდიან პოლონეთის მმართველობაზე კანონ-პროექტის გადაცემას.

## მსოფლიო ომი

პ. დ. ს.

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

დასავლეთის ასპარეზი

პარიზი. 30 მაისი. ოფიციალი. არტილერია ორივე მხრიდან ენერგიულად მოქმედებდა თავდასხმების დროს გერმანელების თხრილებზე. წამოვიყვანეთ ტყვეები. ახლო აღმოსავლეთში მოვიგერიეთ მტრის რამდენიმე მოულოდნელი თავდასხმა. მდ. ცრნის მახლობლად ხდებოდა საარტილერიო ბრძოლები.

ჰავრი. 30 მაისი. ოფიციალი. გუშინ მტრის რაზმმა იერიშები მოიტანა ჩვენს მოწინავე თხრილებზე დიკსმიუდეს სამხრეთით, რომელიც მოვიგერიეთ თოფის ცეცხლისა და ხელით სასროლ ყუმბარების შემწეობით. დღის განმავლობაში გრძელდებოდა ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა, რომელმაც მწვავე ხასიათი მიიღო ოსტენსტრატეს მიდამოებში.

ლონდონი. 30 მაისი. ოფიციალი. ნეშაპოლის ჩრდილოეთით მტრის თავდასხმების დროს ჩვენ წამოვიყვანეთ 13 ტყვე ჯარისკაცი. არმანტიერის ჩრდილოეთით და მდ. იპრის ჩრდილოეთით გერმანელების რაზმების ცდა თავს დაგვესხმოდენ უნაყოფო გამოდგა. გერმანელებმა დაჰკარგეს რამდენიმე კაცი.

ლონდონი. 31 მაისი. ოფიციალი. ბრიტანეთის ჯარმა კვლავ წინ წაიწია და დაიკავა სოფ. გასპარი. მდ. სუშის ორივე ნაპირებზე დაიკავეს ადგილები. წამოვიყვანეთ 177 ტყვე. წამოვიღეთ 3 ტყვიის მფრქვეველი. დღის განმავლობაში გერმანელების არტილერიამ გამოიჩინა ენერგიული მოქმედება მიუხედავათ ცუდი ამინდებისა ბრიტანეთის ჯარის დანაკლისი დიდია.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 31 მაისი. ოფიციალი. აღმოსავლეთის, რუმინეთის და კავკასიის ასპარეზებზე სროლაა.

იტალიის ასპარეზი.

რომი. 30 მაისი. ოფიციალი აზიაგოს მთიანს ადგილებში ცუდი ამინდები ხელს უშლიდა არტილერიის მოქმედებას. იულის ალპების ასპარეზზე მტრის ბატარეები სასტიკად უშენდენ ჩვენს პოზიციებს ვოდიჩის მიდამოებში გორიცას. ჩრდილო აღმოსავლეთით. ჩვენი არტილერია ენერგიულად უპასუხებდა.

მფრინავთა მოქმედება.

პარიზი. 30 მაისი. ოფიციალი. ლოტარინგში ჩვენი სპეციალური იარაღების ცეცხლის შემწეობით ჩამოვაგდეთ გერმანელების მფრინავი აპარატი. ტყვედ წამოვიყვანეთ 2 მფრინავი. მფრინავები ორივე მხრიდან ენერგიულად მოქმედებდენ. ინგლისის აპარატი ძლიერად უშენდა პეტრიჩს. საჰაერო ბრძოლის დროს მტრის ერთი მფრინავი ვაიძულეთ ძირს დაშვებულიყო. მეტასის მახლობლად ჩვენმა მფრინავმა ჩამოაგდო გერმანელების ერთი ჰაეროპლანი.

## უკანასკნელი ამბები.

კადეტების დამარცხება საქალაქო არჩევნებში მოსკოვში და ყაზანში.

საქალაქო არჩევნები მოსკოვში და ყაზანში დამთავრდა. უმრავლესობა „კადეტები“ (ხალხის თავისუფლების პარტიის წევრები) გავიდენ. მრავალია არჩეული აგრეთვე სოციალისტ რევოლიუციონერი და მენშევიკები. სასტიკად დამარცხდენ ბოლშევიკები. მოსკოვის და ყაზანის არც ერთ უბანში მათ გამარჯვება არ ჰრგებიათ. საერთოდ ყაზანის გამგეობაში ორი ბოლშევიკი გავიდა და მოსკოვში კი შვიდი. სხვა ქალაქებში არჩევნები ჯერ ისევ არის.

ტყვეების გაპარვა.

ბოლო ჟამს გერმანელი და ავსტრიელი ტყვე აფიცრები იპარებიან მრავალი მათგანს გზაშივე იჭერენ, ხოლო მრავალი თავს ჰშველის, საზღვარს გადადის და სამშობლოში ბრუნდება.

40 წლიანი ჯარის კაცების თხოვნა

ორმოც წლიან ჯარის კაცებმა თხოვნით მიჰმართეს მთავარ შტაბს გაუგრძელოს დასვენების ვადა სასოფლო-სამეურნეო მომუშავეთ და უკიდურეს შემთხვევაში მილიციაში ჩასწერონ.

აფხაზეთის ეკლესია

აფხაზეთის სამღვდელოებამ და მრევლმა გადასწყვიტა აფხაზეთის ეკლესიის საკუთარ ეპისკოპოსით თავისუფლად მოწყობა.

„ნიჟეგოროდსკის პოლკი“ და ბოლშევიკები

დრაგუნთა ნიჟეგოროდის მე 17-ე პოლკი კატეგორიულ პროტესტს აცხადებს „კავკაზსკი რაბოჩის“ წინააღმდეგ, რომელიც ჰქადაგებს: — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ და ჯარს დამმობილებაზე მოუწოდებს. ნიჟეგოროდის პოლკის მსოფლმხედველობით ასეთნაირ სტატიები ხელს შეუწყობს ჯარის დეზორგანიზაციას და ახალგაზრდა თავისუფალ რუსეთს დაღუპავსო.

მოძრაობა სპარსეთში

ბაქოს გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტს დანამდვილებით ცნობები მოსვლია, რომ სპარსეთში გამათავისუფლებელი მოძრაობა ფეხს იკიდებსო. თუ მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო, მაშინ მას შეუძლიან დიდი გავლენა მოახდინოს სპარსეთის პროვინციებში დაბანაკებულ რუსის ჯარზე. ამიტომ თავრიზის მუშათა და ჯარისკაცთა აღმ. კომიტეტმა აუცილებელ საჭიროებად დაინახა, რომ აზერბეიჯანის დემოკრატია ცენტრალ აზერბეიჯანის დემოკრატიულ კომიტეტს დაუახლოვდეს.

სასჯელი ხატის შეურაცყოფისათვის

გრებენევკაში (სუმსკის მაზ.) საზოგადო პარაკლისის დროს ვინმე გრიცენკომ შემუსრა ხატი ნიკოლოზ სასწაულმოქმედისა. მაზრის კომიტეტმა, კეთილმოწესეთა და მღვდლების ინიციატივით, გრიცენკოს სიმშილით სიკვდილი მიუსაჯა. ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოყვანილ იქმნა. გრიცენკო საშინელ ტანჯვით მიიცვალა. ჯარისკაცები საქმის გარჩევას მოითხოვენ.

ჰოლანდია. ლლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ირლანდიის საკითხის გამო კონფერენციაში 101 წევრი მონაწილეობს მთავრობისათვის სასურველ იქნებოდა, რომ კონფერენციამ თვითონ აირჩიოს თავმჯდომარე, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა დაჰნიშნავს.

## დ ე პ ე შ ი

„ჩვენი ქვეყანა“-ს

**ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაცია დ. ძირულაში.**

1 ივნისს ძირულაში მოხდა ეროვნული დემოკრატიულ მიმართულების თანამოაზრეთა კრება. დაარსდა ორგანიზაცია. კრებას დაესწრო ბ-ნი ვასილ წერეთელი. ორგანიზაციამ სამი წარმომადგენელი აირჩია თბილისში ეროვნულ-დემ. პარტ. კონფერენციაზე დასასწრებლად.

**ა. ხარატიშვილი.**


საქართველოს
ეროვნულ-დემოკრატიული
— პარტიის ქუთაისის კომიტეტი —
სთხოვს თანამგძნობთ დააჩქარონ წევრად ჩაწერა, რადგან
100 წევრზე ერთი დელეგატი
უნდა აირჩიოს კომიტეტმა თბილისში
4 ივნის დანიშნულ კონფერენციაზე გასაგზავნად:
კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს, ვინც სარეგისტრაციო ფურცლები წაიღო, უკანვე დააბრუნოს.
ჩაწერა მიიღება: 1) „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში თბილისის ქუჩა, მიქელაძის სახლი.
2) პარტიის სელექციო დარბაზში — ვორონცოვის ქუჩა, ოცხელის სახლი.


## ახალი ამბავი

◆ მოქალაქენო ქთხოვთ დაესწროთ ქვიტირის ქუჩის მომავალ გასახსნელ საზოგადო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ გამართულ სალამოს ამავე ქუჩაზე, კოსტა ბაბუნაშვილის სახლში ივნისის 10-ს სალამოს 8 საათზე.

◆ კერენსკის ინციდენტი ამიერ-კავკასიის კომიტეტთან არსებულ ეროვნებათა თათბირს, გიორგი ჟურულის მეოხებით მსჯელობა ჰქონია იმ შეუფერებელ სიტყვების გამო, რომლითაც მინისტრი ქართველ ერს შეხებია კიევში ყოფნის დროს, გაზეთ „Рус. слово“ს გადმოცემით დაუდგენია: დაუყონებლივ მოსთხოვოს „Рус. слово“ს ამ ცნობის სიმართლის განმარტება. ვინიცობაა არის ცნობა ნამდვილი გამოდგა, კერენსკის სასტიკი პროტესტი გამოეცხადება

◆ რუსეთ-ინგლისის სავაჭრო პალატის მდივნად ლონდონში ჩვენი პატივცემული თანამემამულე დავით ლამბაშიძე მიუწვევიათ, რომელიც ამ უკანასკნელ წელთა განმავლობაში ინგლისში დაუღალავად მოღვაწეობდა საქართველოს და ინგლისის შორის კომერციულ ურთიერთობის გამტკიცებისათვის.

◆ მილიციის საქმე. ქუთ. თავდაცვის სახალხო მილიცია უკვე შესდგა. ამის გამო მილიციაში ჩაწერა შესწყდა.

◆ კომისრების დანიშვნის შესახებ აღმ. კომიტეტმა დაადგინა კომისარების არჩევის დროს პიროვნების შესამოწმებლად იხელმძღვანელოს ძველი წესით.

◆ **სასოფლო სამეურნეო აღწერა.** 10 ივნისიდან დაიწყება ქუთ. გუბ. სასოფლო სამეურნეო აღწერა.

◆ **რევოლუციური ლიტერატურა.** გუშინ ქუთაისში რევოლუციურ ლიტერატურის სასარგებლოთ გაიმართა ყულაბებით ფულის მოგროვება.

◆ **დაკარგული ბავში.** ამას წინად ქუთაისიდან ქ. სიმფეროპოლში დედმამასთან გაემგზავრა ქართველი ისრაელი ილია (ილუშა) დანიელისძე ხახიაშვილი, (15 წლისა), როგორც მშობლები იუწყებიან ყმაწვილი მათთან არ ჩასულა, ამიტომ მისი ნათესავები სთხოვენ ყველას ვინც კი რამეს შეიტყობს ილია ხახიაშვილის შესახებ, აცნობონ შემდეგის მისამართით ქუთ. გუბ. დ. ლაილაში ელო მეგრელიშვილს.

◆ **მღ. მ. ბუაჩიძემ** იმერეთის სამღვდელოების დროებით აღმასრულებელ კომიტეტის წევრობას თავი დაანება.

◆ **ქუთაისის ქალაქის ახალ მილიციელთა სია:** ვარლამ დათიაშვილი, ვლად. გორიშვილი, კონტ. ფხაკაძე, რუბენ გოგისვანიძე, ალ. გოგიაშვილი სევერ. წერეთელი, სილ. გოლუაძე, თეოფ. სანდუხაძე, გრ. კროჰი, ალ. კაჰახიძე, მელ. წიქორიძე, არჩ. ყიფიანი, ნ. თორაძე, ას. ბარდაველიძე, პ. მანჯავიძე, ვის. კვანტალიანი, ალ. ლოსაბერიძე, გოგ. ფირცხალაშვილი, ნ. დოლიძე, ტარ. ტრაპაიძე, შირმანდი დოლიძე, სილ. თათეიშვილი, იას. რევიშვილი, გრ. ზერიძე. ივ. თორთლაძე, ამბრ. ადეიშვილი, დიომ. ორაგველიძე, ივ. ჰეიშვილი, ალ. ლორთქიფანიძე, ირ. თოფაძე, სევერ. სვანიძე, სიმ. მგალობლიშვილი, ვას. მაღლაკელიძე, ვ. გიორგაძე, აკ. ნემსაძე, ნ. ნემსაძე, ნ. ალპაიძე, ბიქ. ტურაბელიძე, ლან. ნიკოლაიშვილი, ემელიან კალანდაძე, გრ. გურგენიძე, კონსტ. ქებულაძე, დ. ტყავაძე, პ. ზეინკალიანი, სიმ. გაბოშვილი, შალვა ჰყეპიანი, აკ. ჯიქიძე, დ. ჰაბუკიანი, ილია მიქაბერიძე, კონსტ. ნიჟარაძე, ბეს. მხეიძე, მელ. ჟორჟოლიანი, ტიხ. გამყრელიძე, იას. მაქარიძე, ნ. ერისთავი, გ. უნგრიაძე, ვას. დადუნაშვილი, ილია ჯაყელი ბაგრ. ჭუმბურიძე, ალ. ხუნდაძე, ამათი კანდიდატების სია ხვალ დაიბეჭდება.

სახალხო მილიციის უფროსი პორუჩ.

**ი. ჟღენტი.**

—**ავადმყოფობანი.** 16 მაისიდან 1 ივნისამდე ქუთაისში ავად გახდა ტიფით 2. ქუნთრუშით 5. მუცლით 4. სახადით 10.

**პროვინცია.**

— სოფ. ჯაგთუმა (ქვემო იმერეთი) 30 მაისს აქ გაძარცვეს ვაჭარი ნ. მესხი, წაართვეს 1,500 მან. და ოქროს საათი.

— დადიანისაში ადგილობრივ ბაზარზე სიმინდი ფუთი 4 მან. ფასობს. სოფელში ძლიერი გავლენა აქვთ აქაური დეზერტირებს [illegible] სამხედრო [illegible].

◆ [illegible] ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ბიურო.

◆ **სოფ. ქორიშხეთი** (ლეჩხ. მაზრა) ბოროტ განმზრახველებმა გაძარცვეს ადგილობრივი მუშა მეურმეები, წაართვეს 90 მანეთი.

◆ **ყვირილა** დღეს აქ დაიწყება საქალაქო არჩევნები.

**თბილისი.**

◆ ქართველი ეკლესიის ავტოკეფალია და სამურზაყანო. ჩხენკელმა სამურზაყანოს სამღვდელოებიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: ივნისის 4 სამურზაყანოელებთა და აფხაზელებთა ყრილობა მოხდება ავტოკეფალიის საკითხის გადასაჭრელად. აუცილებელია თქვენი დასწრება. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ დელეგატები, რომელნიც ამ ჟამად თბილისში არიან გლეხთა ყრილობაზე - კალბაია, გაბისონია, გამსახურდია და სხვ,

◆ სტუდენტთა კონფერენცია. ამ დღეებში ქართულ გაზეთებში ცნობა იყო, რომ ტომსკიდან ჩამოსული ქართ. სტუდ იქაურ სტუდ. დავალებით თიბათვის 10-ს იწვევენ ქართველ სტუდენტთა კონფერანციას, რომელსაც უნდა დაესწრონ ათ კაცისაგან ერთი აზორჩეული დელეგატები. ამ კონფერენციას საერთო არაფერი ჰქონია იმ კონფერენციასთან, რომლისთვისაც თბილისში მომხდარმა ქართველ სტუდენტთა კრებამ ამოირჩია კონფერენციის მომწვევი კომისია და რომელიც თიბათვის 15 შია დანიშნული. ამ კონფერენციის იდეურ-ტეხნიკური მხარეები ამ დღეებში გამოცხადდება... უფრო ნათლად გამოსარკვევათ საჭიროა, რომ ტომსკელ ამხანაგებმაც თავისი კონფერენციის დღიური წესრიგი გამოაცხადონ.

— ნების დაურთველად ყულაბებით ფულის შეგროვება. მაისის 30 თბილისის მილიციის მეორე კომისარიატის კომისარის თანაშემწემ მაღალაშვილმა შეიპყრო მეჟევოი ქ. № 38 მცხოვრებელი ნერუჩევა, რომელმაც აღმასრულებელ კომიტეტის ნება დაურთველად ყულაბებით ფულის შეგროვება მოაწყო თავის სასარგებლოთ ჩამოართვა დამტარებელთ ქუჩაში დასატარებლად გამზადებული 300-დე ყულაბა და თვითონ ნერუჩავა კი შესაფერი ოქმით მილიციის უფროსთან გაგზავნა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების სასარგებლოდ საღამო გაიმართება ახალი კლუბის ბაღში, კვირას, 11 ივნისს,

— დააპატიმრეს ინჟინერი იანუშკევიჩი რომელიც გუშინ დილით ბარიათინის ქუჩაზე რევოლვერით მოკვლას უპირებდა ერთს მოხელეს.

— დააპატიმრეს ინჟენერი ზავალიშინი, თავმჯდომარე ტფ. სამხედრო სამრეწველო კომიტეტისა.

— დაითხოვეს სამსახურიდან ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის განკარგულებით 52 მოხელე წყალთა სამართველოსი.

◆ ახალი სასწავლებლები. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტთან აღძრულია მრავალი შუამდგომლობა სხვადასხვა ტიპის სასწავლებელთა დაარსების შესახებ. კ. აბაშიძის თაოსნობით ამ დღეებში დაიწყებენ მუშაობას კომისიები შესახებ სკოლის რეორგანიზაციისა სრულს დემოკრატიულ ნიადაგზე.

◆ 1915 წ. 3 მარტის კანონი დღიურების შესახებ მასწავლებლებისათვის. ამ კანონით დღიურები ქუთაისის გუბერნიაში მხოლოდ ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის მაზრებს და ბათომის ოლქს ეძლეოდა. ქუთაისის გუბერნიის სამოსწავლო კომისარიატის შუამდგომლობით ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრმა კ. აბაშიძემ უკვე აღძრა შუამდგომლობა სამინისტროსთან ეს კანონი გავრცელებულ იყოს ქუთაისის მთელს გუბერნიაზე.

— მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის ახალი არჩევნები მოხდა. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ნოე ჟორდანია, თავმჯდომარის ამხანაგად გ. ერაძე და გ. მახარაძე, ხოლო მდივნად გ. ცინცაძე.

## ეროვნულ-დემოკრატი-ული პარტია.

დ აბასთუმანი.

დაბა აბასთუმანში შესდგა 30 მაისს საღამოს ხუთ საათზე მრავალ რიცხოვანი პირველი ეროვნულ დემოკრატიული პარტიული კრება მოხსენებაწარმოსთქვა ბ ალექსანდრე თორაძემ მან აუხსნა ხალხს ეხლანდელი მომენტის მნიშვნელობა და ნათლად დაუხატა ყოველი პარტიის მიზანი. მასთან ილაპარაკა საქართველოს ტერიტორიულ ავტონომიაზე, რამაც დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია ხალხში ორატორი დააჯილდოვეს ხანგრძლივი ტაშის ცემით ბოლოს ორატორი გადავიდა საორგანიზაციო კითხვებზე.

## ქართველ ისრაელთა შორის.

კვირას 28 მაისს, ქართველ ისრაელთა სალოცავში მოხდა სათემო („ობშჩინის“) კომიტეტის არჩევნები. დასახელებული იყო 37 კაცი, მათ შორის 10 ქართველ ისრაელები. დანარჩენი რუსის ებრაელები.

ასეთივე არჩევნები დანიშნული იყო წასულ კვირას 21 მაისს, მაგრამ ის არჩევნები აღარ დასრულდა, ვინაიდგან თვით რუსის ებრაელებში მოხდა განხეთქილება და ისინი თვითვე გაიყვნენ ორ ნაწილად ერთის მხრით დარჩნენ ბუნდისტები, სიონისტები და სხვა პოლიტიკური პარტიები; მეორეს მხრით-კი გადგა სასულიერო—სარწმუნეობრივი წრე, რომელმაც დაისახა უპირველესად ყოვლისა რელიგიური საქმეების მოწესრიგება ისრაელობაში. მაშინ ქართველი ისრაელების წარმომადგენლებმაც მოხსნეს ოფიციალურათ თავიანთი კანდიდატურა 21 მაისს და განაცხადეს: რადგან დღეს-დღეობით ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი სარწმუნოებრივი საქმეების გაძღოლა,—ამისთვის ჩვენ, როგორც ერთ-მერჯულენი ვუერთდებით ამ სასულიერო-სარწმუნოებრივ წრეს და ვმუშაობთ მათთან რჯულის საქმეებში, ხოლო პოლიტიკურ სფეროში და გარეშე-სარწმუნოებრივ საქმეებში ჩვენ ვრჩებით თავისუფალი და დამოუკიდებელი ძველებურათ.

ქათველი ისრაელი.

„ალიონი“

## ეროვნული კითხვა.

ლიტველთა ლეგიონები

პეტრეს ქალაქის ლიტველთა ეროვნულ საბჭოს მთავარ სარდალ ღენ. ბრუსილოვისგან. დეპეშა მოუვიდა, მათ ნება ეძლევათ მე 22 კორპუსიდან გამოჰყონ ლიტველი ჯარის კაცები და შეადგინონ ცალკე ეროვნული ლეგიონი. ლიტველთა ეროვნულ ლეგიონების დაარსების კითხვა აღიძრა პოლონელთა და ესტონელთა ეროვნულ ლეგიონების დაარსებისთანავე.

ლიტველი ჯარის კაცები ეროვნულ საბჭოს სთხოვენ, რათა ისინი ჯარის სხვადასხვა ნაწილებიდან გადმოყვანილ იქმნან ლიტველთა ეროვნულ ლეგიონში სამხედრო საბჭო პროტესტს უცხადებს პოლონეთის და ესტონეთის სამხედრო საბჭოებს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელებმა თავის ჯარის ნაწილებში ჩარიცხეს ლიტველთა ლეგიონები და სთხოვს ეს ლეგიონები დაუყოვნებლივ გადასცეს რუსულ პოლკებს საიდანაც ისინი ლიტვურ ნაწილში გადაირიცხებიან.

ი რ ლ ა ნ დ ი ა.

სინფეინერები აპირებენ ამ მოკლე დროში მოაწყონ დიდი ეროვნული გამოსვლა და კრება. სინფეინერები ხალხს მოუწოდებენ, რომ მათ ასეთ ძვირფას მომენტში როდესაც ყველა დამონებული ერი თავისუფლებას ელის, ირლანდიის ხალხიც მოვალეა ბრიტანეთის მთავრობას მოსთხოვოს ირლანდიამ სრული თავისუფლებათ.

არაბეთი და ქურთისტანი.

სტამბოლის არაბთა და და ქურთების შეგნებულ გავლენიან წრეებში კითხვა აღიძრა გაიგონ ახალგაზდა ოსმალთა აზრი და გადაწყვეტილება არაბთა და ქურთთა ავტონომიის შესახებ.

ალჟირი და ტუნისი.

პარიზში ჩავიდა ალჟირ ტუნისელთა დელეგაცია, რომელმაც მოახსენა რესპუბლიკურ მთავრობას, რომ ალჟირ ტუნისელნი საფრანგეთის მთავრობისგან ელიან ეროვნულ თვითმართველობის მინიჭებას.

ფ ი ნ ე თ ი.

ფინეთის სოც. დემ. მოითხოვენ ფინეთის სეიმმა საჩქაროდ განიხილოს და შეიმუშავოს კანონპროექტი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

ამ მოკლე ხანში ფინეთის სეიმი განიხილავს ფინეთში მოსახლე ებრაელთა კითხვას.

## ხარაგაულის აღმასრულებელი კომიტეტის საპასუხოთ.

ხარაგაულის აღმასრულებელი კომიტეტი პროტესტს მიცხადებს და ჩემ წერილს, „ჩვენი ქვეყნის“ № 30 რომ იყო დაბეჭდილი ცილის წამებად ნათლავს. არც ერთი და არც მეორე აღნიშნულ კომიტეტს არ ეკადრება. არ ეკადრება მიტომ, რომ „ლესნიჩმა“ თავის თავი, თუ სხვისთვის ვექილობა არ მიუცია, (რაც კომიტეტის ოქმიდან არა სჩანს) თითონ უნდა დაიცვას და მის კაი კაცობაზე ხალხმა უნდა ილაპარაკოს და არა მისმა ნათესავებმა და ნაცნობებმა, ხალხი კი, „ლესნიჩის“ შესახებ არც ერთ თავისუფლების ჟამს კარგს არ ლაპარაკობდა და არც დღეს ლაპარაკობს, მაგრამ რა ქნას, როდესაც მას გამგონე არა ჰყავს. რაც შეეხება იმას, რომ ჩემი წერილის დანარჩენი ნაწილიც სიცრუეა, არც ეს არის მართალი.

აი, რატომ, ხარაგაულის რაიონში ყველაზე ბოლოს დაცვალეს დამხობილი მთავრობის მოხელეები; ასე წარმოიდგინეთ მამასახლისი დღესაც გამოუცვლელია. კომიტეტი ბრძანებს: ხალხს თუ სურდა, რატომ არ გამოსცვალაო, ბევრჯელ ჰქონდა ყრილობაო, ხალხს, განსაკუთრებით ჩვენსას, მოთავე უნდა, წინამძღოლი და დამრიგებელ—მოჩიჩინე, ასეთი როლი კი კომიტეტს უნდა შეესრულებია ხარაგაულის რაიონში, თუ ძველი მთავრობის სული არ ტრიალებდა. აბა ერთი მიბრძანოს კომიტეტმა, რეალურად ახალი მთავრობის სული რაში გამოხატა მან? ნურც იმაზე გამიჯავრდებიან კომიტეტის წევრები, თუ·მე 1905 და 1906 წ. ხალხის გამომღვიძებელი პირები ენერგიული მომუშავებათ დავსახე. ეს მართლაც ასე იყო და არის.

დღევანდელ ხარაგაულის მუშაკთა შორის 905-6 წ.· მუშაკთაგანი მხოლოდ ერთია, სახელდობრ ლ, ქ. დანარჩენებს, როგორც თქვენს უმორჩილეს მონას, არავითარი აქტივობა არ გამოუჩენია. შეიძლება ზოგიერთმა მათგანმა კალათოურის ნიგვზებ ქვეშ და კახორის გვერდში როდისმე მალული კრება გამართა თორემ სხვა არაფერი არ გაუკეთებიათ. და ეს ვაჟბატონები დღეს თუ ენერგიულად მუშაობენ დიდება მათ კაცობას და პატივი.

დასასრულ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ჩემ წერილს სრულიად ხარაგაულის კომიტეტის დამცირება არ ჰქონებია საგნში, მისი მიზანი იყო სიბრალულის აღძვრა კომიტეტის შემადგენლობაში იმ მთის სოფლის მცხოვრებლებისადმი. რომლებიც მარტო ტყის მასალით ირჩენენ თავს და ესოდენ შევიწროებას გრძნობენ „ლესნიჩისა“ და მისი „ობეშნიკებისაგან“.

მ. ფარცხნანელი.

## სოც. რევ. პარტიის კონფერენცია.

ომის კითხვის შესახებ პარტიის კონფერენციამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: რევოლუციის გამარჯვებამ ხელი აალებინა რუსეთს დაპყრობით პოლიტიკაზე თუმც ეს ასეა, მაგრამ ჩვენი როლი ამ იმპერიალისტურ ომის დროს არსებითად არ შეცვლილა.

ამ მოსაზრებით, მოკავშირე სახელმწიფოთა რევოლუციურ დემოკრატიას მხარის დაჭერითა და გერმანეთისა და ავსტრიის მუშათა კლასისა და იმპერიალისტების შორის დამოკიდებულობის გამწვავების მიზნით ჩვენ აშკარად გამოვდიაართ.

რევოლუციური რუსეთი გაჰყვება ისეთ მოკავშირეთ, რომელნიც იზიარებენ რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მოქმედებასა და მოწოდებას. კონფერენცია უარსა ჰყოფს სეპერტიულ ზავს. საჭიროა მხარი დაუჭიროთ მუშათა და ჯარისკაცთა მიერ წამოყენებულ დიად ლოზუნგს „ზავი უნექსიო და უკონტრიბუციო“. და ყველა დაჩაგრულ ერების თვით გამორკვევის უფლების მინიჭებით.

კოალიციურ სამმართველოს კითხვის შესახებ გამოვიდა ორი მომხსენებელი. მ. გ. მსტისლავსკი და სამიწადმოქმედო მინისტრი ჩერნოვი. ამ კითხვის შესახებ გამოიტანეს შემდეგი რეზოლუცია: კონფერენცია კოალიციურ მთავრობის შედგენით ხედავს ერთის მხრივ მშრომელ-დემოკრატიის ძალთა გაზრდას, ხოლო მეორე მხრივ ძლიერს ნაბიჯს რუსეთის მოსალოდნელ საფრთხისაგან სამუდამოდ, რომ იგი გადაარჩინონ რღვევისაგან (разруха).

კონფერენციის აზრით მხოლოდ ერთს სოციალისტურს ჯგუფს დროებითს მთავრობაში. რომელიც ემყარება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს სოციალისტები, შეუძლიათ ანგარიში გაუწიონ წამოყენებულ კითხვებს. იმ გარდამავალ ხანაში, როცა ცენზიან რუსეთს შეძლება აღარ ექნება ანგარიში გაუწიოს საბედისწერო პრობლემებს, სოციალისტები ვერ გამოაცხადებენ თავის დიქტატურას. კონფერეცია საჭიროდ სთვლის რომ ს. რევ. პარტიამ მონაწილეობა მიიღოს თანამედროვე ცხოვრების აღმშენებლობაში და ემზადონ დამფუძნებელი კრებისათვის. ხელი-შეუწყონ რუსეთის დიდი რევოლუციის გამაგრებას, და ომის ლიკვიდაციის მოხდენის საქმეს.

## რუსეთი.

საფრანგეთი და რუსეთის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო.

რუს. მუშ. და ჯარ. კაცთა მოწოდება სტოკჰოლმის კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შესახებ დაჰბეჭდა გაზ. „ჰუმანიტე“მ და თან კითხვითი ნიშანი გაუკეთა.

გაზეთი უნდობლად შეხვედრია მუშ. და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს მოწოდებას, რადგან მიღებულ ქაღალდზე არ ყოფილა არც რიცხვი და არც მის შემადგენელთა ხელის მოწერა.

რუს. მუშ. და ჯარისკაცთა მოწოდების შესახებ გაზ. „ჟურნალ დუპუპლი“ სწერს: რუსეთის პროლეტარიატის ზეგავლენით ინტერნაციონალი აღსდგება ყველა ქვეყნის მთავრობათა წინააღმდეგ და დაამხობს მათ, რომლის შემდგომაც განმტკიცდება ახალი წესწყობილება და მუშები გახდებიან თავის ბედის გამგებელნიო. გაზ. „ლ' ჰომმევენშენე“ ქარცეცხლურ კრიტიკაში ატარებს რუს. მუშ. და ჯარისკაცოა საბჭოების მოწოდებას. ამ გაზეთში კლემანსო სწერს: რუს. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მოწოდება ჩვენ სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო სრულიად ახალგაზდაა სახელმწიფურ ფორმების შესაქმნელად და ამიტომ იგი ტყუილად გვაწუხებს ჩვენ თავის მოწოდებით, ისინი მთელ დედამიწას უპირებენ განახლებას და ამავ დროს თავის თავს კი არ იფარავენ გერმანელთა რისხვისაგან.

გაზეთი ასე ამთავრებს თავის კრიტიკას: „როდესაც შენ მეგობრები გყავს, მათ უნდა დაეხმარო, მხოლოდ როდესაც მტერი გყავს, მას უნდა ებრძოლო“ გაზ. „ვიქტორიე“ში ჰუსტავ ერვე სწერს: „ჩვენ არ გადავედლობებით წინ რუსეთის ნორჩ თავისუფლებას, მაგრამ რუს. მუშ. და ჯარ. კაცთა საბჭომ უნდა იცოდეს, რომ საფრანგეთში არის ბევრი სოციალისტები, რომლებმაც არავის მისცემენ ნებას ფეხ ქვეშ გასთელონ საფრანგეთი და მისი რესპუბლიკა:

რუსეთის შესახებ სწუხან.
(ა მ ე რ ი კ ა.)

ვაშინგტონში დიდად სწუხან რუსეთის არეულ მდგომარეობის შესახებ. ბარონ როზენის განცხადებამ უსიამოვნება გამოიწვია.

რუსულ მანეთის კურსის დაცემა ეცხოეთში.

პარიზში კიდევ დაეცა რუსულ მანეთის კურსი 145 ფრანკამდე შვეიცარიაში 135 ფრანკამდე. ასეთივე ბედი ეწიათ რუსულ ფასიან ქაღალდებსაც ს.-ზღვარ გარეთ.

შუამდგომლობა გაზეთის ქაღალდის რეკვიზიციის მოსახდენად.

გაზ. „ვოლნა“-ს „პრავდა“-ს და პეტროგრადის მუშ. და ჯარისკაცთა უწყებების რედაქციები დრ. მთავრობას სთხოვენ რეკვიზიცია უყოს პეტრ. გაზეთის ქაღალდებს, რათა იგი შემდეგ თანასწორად იქნეს განაწილებული. ხსენებული გაზეთის რედაქციები მოითხოვენ, წინადადება მიეცეს ბურჟუაზიულ გაზეთების რედაქციებს, რათა მათ დააპატარავონ თავის გამოცემების ფორმატი.

სამხედრო წესდების გადასინჯვა.

სამხედრო სამინისტროში შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გადასინჯოს სამხედრო სასჯელის წესდება. კომისიამ თანამშრომლებად მიიწვია მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს წარმომადგენლები. პირველ დღეს მუშ. და ჯარ. კაცთა საბჭოს წარმომად. არ გამოცხადდნენ და ამიტომ ჯერჯერობით კომისიას არაფერი გადაწყვეტილება არ გამოუტანია.

ექიმთა პერსონალის გადიდება.

სამხედრო სანიტრო უწყებამ საჭიროდ სცნო ამ მოკლე ხანში გადიდებულ იქმნას ექიმთა პერსონალი. იმ ექიმებს, რომელთაც 40 წელი შეუსრულდათ ყველას ომში გაიწვევენ.

ს ტ უ მ რ ე ბ ი.

ამ მოკლე ხანში ინგლისის სუფრაჟისტი ქალები რუსეთში მოდიან რუსეთის ქალებთან მოსალაპარაკებლად.

ქალების ლეგიონი.

მინსკში ქალებმა რაზმი შეადგინეს, ეს რაზმი ბრძოლის ველზე წავა ამ დღეებში. რაზმში ჯერჯერობით 300—400 ქალამდეა.

ერთი ყუთი ოქრო ომის საჭიროებისთვის.

ყოფილმა საზღვაო მინისტრმა ი. გრიგოროვიჩმა ერთი ყუთი ოქრო გამოუგზავნა ი. როძიანკოს ომის საჭიროებისთვის მოსახმარად.

ანარქია და კონტრ-რევოლუცია.

ცარიცინში სკრიაბინის მოედანზე ლენინის მომხრე „ბოლშევიკი“ ხალხს მოუწოდებდა ყოველი ღონე ეძიებია და დაემხო აწინდელი მთავრობა, საჩქაროდ შეეწყვიტა ომი და გამოეცხადებია პროლეტარიატის დიქტატურა.

ა ნ ა რ ქ ი ა.

გაზ. „რეჩი“ სწერს:

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობის თანახმად ელცის მაზრაში ანარქია გამეფდა.

მმართველობას ისეთი ხალხი კისრულობს, რომელსაც ამისთვის არც ცოდნა აქვს და არც გამოცდილება. ყოველ დღე ელიან ერთ სოფლის მეორესთან შეტაკებას.

სოფლის ყრილობებზე აცხადებენ, რომ ხალხი არ დაენდოს სტუდენტებს და ინტელიგენციას. ხალხის გაღიზიანებამ ფართე ხასიათი მიიღო; გაძლიერდა ტერორი ცისმარა დღეს ხოცავენ ხალხს, ახდენენ მკვლელობებს და აუპატიურებენ ქალებს.

მილიცია ჯერ ვერ შესდგა.

პეტრეს ქალაქისფინანსები.

პეტრეს ქალაქს 1 იანვარს 1917 წ. ვალი ჰქონია 150,263,925 მ. რუსეთის ქალაქებს შორის პეტროგრადი ყველა ქალაქებზე უფრო დავალიანებულია.

მიმდინარე წელს 30 მილიონ მან. გაზრდილა. ეს ფული პეტრეს ქალაქმა მიიღო 15 აპრილს და 8 მაისამდე 16 მილიონი დახარჯა. ამ ჟამად ქალაქს აქვს მხოლოდ 3 მილიონი. ქალაქის თავი გლებოვი აღნიშნავს, რომ ქალაქმა თუ ახალი სესხი არ აიღო, მას უკიდურესი კრიზისი მოელის.

მინისტრ ირ. წერეთლის მიმართვა.

ფოსტა ტელეგრაფის მინისტრი ირ. წერეთელი შემდეგის მოწოდებით მიმართავს ფოსტა ტელეგრაფის უწყების ყველა თანამშრომელთ. „რუსეთის რევოლუციამ დაამსხვრია საშუალო საუკუნოების ნაშთები, გააუქმა ეროვნული და სარწმუნოებრივი შეზღუდვა. დრ. მთავრობის აქტით რევოლუციის მიერ მონიჭებული ეს საფუძველი ახლა კანონად არის ქცეული. დღეის შემდეგ მმართველობაში რომელიმე პირის დანიშვნის დროს. თუ კითხვის აღძვრის დროს სასტიკად აღკრძალულია ეროვნულ და ან სარწმუნოებრივ თვალთა ხედვით ხელმძღვანელობა-

ექიმთა გაფიცვა.

მოსკოვის ქალაქის საბჭო აცნობებს პეტრეს ქალაქის მოურავს გლებოვს, რომ ქალაქის ორ სამკურნალოში ექიმები გაფიცვას აცხადებენ და მოითხოვენ ... შინაგან ... სამკურნალო ... ქალაქის საბჭომ განიხილა ეს კითხვა და ყველა ძლიერ აღელვებულია ექიმთა საქციელით. მოსკოვი პეტრეს ქალაქს სთხოვს შესაფერ საშუალების გამონახვაში დახმარებას.

## უ ც ხ ო ე თ ი.

ა ვ ს ტ რ ი ა.

ვენაში ბევრს ლაპარაკობენ ავსტრიის და უნგრეთის ახალ ეკონომიურ ხელშეკრულობის დადების შესახებ. უნგრეთი მოითხოვს სავაჭრო სამრეწველო საქმეთა უნგრეთის პრემიერის ხელში გადასვლას.

ე ს პ ა ნ ე თ ი.

მადრიდში დაჟინებით ამბობენ, რომ ესპანეთში რევოლუცია არის მოსალოდნელიო.

ოსმალეთი.

ენვერ ფაშამ გერმანეთის დესპანს უთხრა: ოტომანთა იმპერია ამ ომში თავის სურვილების განხორციელებას ელის. ბრწყინვალე პორტა თავის დღეში არ ილაპარაკებს სეპარატიულ ზავზე და გერმანეთთან ერთად უკანასკნელ დღეებამდე იბრძოლებსო.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.


## ექიმები:

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში მუსხმა „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

ქ. ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლის კარებთან ჭეიშვილის სახლში

**მ. კ ა შ ი ა**

არჩენს თვალების სნეულებათ (თეთრ გადაკრულს უპერაციოთ)


## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | - საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | -- დილის | 11 ს. — | „ |
| „ | - ღამის | —11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | - საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |


ქუთაისში დაარსდა ახალი წიგნის გამომცემლობა

„განათლება“

რომელსაც მიზნად აქვს დაუმზადოს და მიაწოდოს განახლებულ ქართულ შკოლას როგორც დაბალს, ისე საშუალოს, და აგრეთვე მომავალ უმაღლეს სასწავლებელს შესაფერი სახელმძღვანელოები. სალიტერატურო და სამეცნიერო წიგნები, რუქები, ატლასები და ყოველგვარი გამოცემები, რაც ქართულ შკოლას გამოადგება.

ავტორებს შეუძლიათ გაუგზავნონ თავის ნაწარმოები და მიმართონ პირობების გასაგებად გამომცემლობის კანტორის გამგეს გიორგი ს. სვანიძეს დილის 9 ს. 12 ს—დი. მისამართი: ქუთაისი ქართული გიმნაზია


სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში